პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

1924 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# Собрание Узаконений и Распоряжений Рабоче-Крест. Правит. Грузии

1924 г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| დეკემბერი | № 7 | ნაწ. პირველი | Декабрь | № 7 | Отд. первый |
|---|---|---|---|---|---|

## შინაარსი:


43. დადგენილება № 127 ც. ა. კ. „ამხ. პარკაძის დანიშვნა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილედ“.

44. დადგენილება №128 ც. ა. კ. „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის საოლქო სასამართლოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. უზენაესი სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ“.

45. დადგენილება №129 ც. ა. კ. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისათვის 232³ მუხ. დამატების შესახებ“.

46. დადგენილება №130 ც. ა. კ. „სასჯელის ვადის ერთი მესამედით შემოკლების შესახებ იმ პატიმართათვის, რომელნიც სასჯელს იხდიან მძიმე ფიზიკური მუშაობით“.

47. დადგენილება №40 ს. კ. ს. „საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ“.

48. დადგენილება №41 ს. კ. ს. „საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღით და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამტკიცების შესახებ“.

49. დადგენილება №42 ს. კ. ს. „კოოპერაციის შესახებ“.


## СОДЕРЖАНИЕ:


43. Постановление № 127 ВЦИК-а. „О назначении тов. Паркадзе Зам. Нар. Ком. Социального Обеспечения“.

44. Постановление № 128 ВЦИК-а. „О реорганизации Областного Суда Автономной Области Юго-Осетии и Верховного Суда Соц. Сов. Республики Грузии“.

45. Постановление № 129 ВЦИК-а. „О дополнении Уголовного Кодекса ССР Грузии ст. 232³“.

46. Постановление № 130 ВЦИК-а. „О сокращении на одну треть срока наказания лицам, отбывающим наказание в виде тяжелых физических работ“.

47. Постановление № 40 СНК. „Об изменении ст. 2-ой Положения о Государственной Плановой Комиссии Грузии“.

48. Постановление № 41 СНК. „Об изменении и дополнении декрета Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии от 28 декабря 1922 г. за № 16—о городских домах, заложенных в земельных банках Грузии и Тифлисском Городском Кредитном Обществе“.

49. Постановление № 42 СНК. „О кооперации“.

50. Постановление № 43 СНК. „О порядке распубликования отчетного материала учреждениями и предприятиями, обязанными публичной отчетностью“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. დადგენილება № 43. ს. კ. ს. „საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ საანგარიშო მასალის გამოქვეყნების წესის შესახებ“.

## 43. დადგენილება № 127

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 27 ნოემბრის დადგენილების თანახმად ამხ. პარკაძე დაინიშნოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924. წ. დეკემბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

## 43. Постановление № 127

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета.**

Согласно постановления Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов—товарищ Паркадзе назначается Заместителем Народного Комиссара Социального Обеспечения.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. декабря 1.
Тифлис—Дворец.

## 44. დადგენილება №128

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.**

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ 52 ნომრით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ა/წ აგვისტოს 13-ს გამოცემული დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ეწოდოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის მთავარი სასამართლო, რომელიც იმო-

## 44. Постановление № 128

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О реорганизации Областного Суда Автономной Области Юго-Осетии и Верховного Суда Соц. Сов. Республики Грузии.**

Согласно примечания к ст. I постановления № 52 „о введении в действие Положения о Судоустройстве в Соц. Сов. Респ. Грузии“ и постановления Президиума ЦИК-а Автономной Области Юго-Осетии от 13 августа сего года Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Областной Суд Автономной Области Юго-Осетии переименовать в „Главный Суд Автономной Области Юго-Осетии“, действующий на правах Областного Суда.

2. Члены Главного Суда Автономной Области Юго-Осетии назначаются Центральным Исполнительным Комитетом названной области. Председатель и Заместитель Главного Суда

ქმედებს ოლქის სასამართლოს უფლებათა საფუძველზე.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლოს წევრებს დანიშნავს ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მთავარი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აარჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შედგენილობაში შევა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ორი წარმომადგენელი, რომელთაც ექნებათ უზენაესი სასამართლოს წევრის ყველა უფლება.

4. უზენაესი სასამართლოს წევრი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან მონაწილეობას მიიღებს უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის სხდომაში ყველა იმ საქმის გარჩევის დროს, რაც საკასაციო წესით შემოვა სამხრეთ-ოსეთის სასამართლოების განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრისა და პროტესტის გამო.

5. სავალდებულოა, რომ უზენაესი სასამართლოს წევრი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან დაესწროს უზენაესი სასამართლოს პლენუმს იმ საქმის თაობაზე, რაც განხილულ იქნება სამხრეთ ოსეთის სასამართლო დაწესებულებაში, და იმ საკითხის განხილვის დროს, რაც აღიძვრის ამა დაწესებულების სასამართლო პრაქტიკაში.

6. უზენაესი სასამართლოს წევრს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან აარჩევს ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. დეკემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-11 №-ში 1925 წ. იანვრის 11.

избираются Центральным Исполнительным Комитетом Автономной Области Юго-Осетии и утверждаются Президиумом Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета.

3. Ввести в состав Верховного Суда ССР Грузии двух представителей от Автономной Области Юго-Осетии со всеми правами, принадлежащими членам Верховного Суда.

4. Члены Верховного Суда от Автономной Области Юго-Осетии участвуют в заседаниях Кассационной Коллегии Верховного Суда по всем делам, поступающим в кассационном порядке по жалобам и протестам на приговоры и решения Судов Юго-Осетии.

5. Участие членов Верховного Суда от Автономной Области Юго-Осетии в пленарном заседании Верховного Суда по делам, рассмотренным в судебных установлениях Юго-Юсетии, и по вопросам, возникающим в судебной практике названных установлений, обязательно.

6. Члены Верховного Суда от Автономной Области Юго-Осетии избираются Центральным Исполнительным Комитетом названной Области и утверждаются Президиумом Все грузинского Центрального Исполнительного Комитета.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. декабря 12.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 9 от 11 января 1925 г.

## 45. დადგენილება № 129

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისათვის $232^3$ მუხ. დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლი: „$232^3$. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ დაწესებულებისათვის კანონიერ ვადაზე წარუდგენლობა საამისოდ ვალდებული პირის მიერ განცხადებისა ბავშვების დაბადების ან პოვნისა, გარდაცვალებისა ან გვამის პოვნის შესახებ დაისჯება ჯარიმით 50 მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით ორ კვირამდე“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-8 №-ში 1925 წ. იანვრის 10.

## 45. Постановление № 129

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О дополнении Уголовного Кодекса ССР Грузии ст. $232^3$.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Уголовный Кодекс дополнить следующей статьей:

„$232^3$. Непредставление в законный срок в учреждение, ведающее записью актов гражданского состояния, обязанным к тому лицом, заявления о рождении или нахождении ребенка, равно о смерти или нахождении трупа карается: штрафом до 50 рублей золотом или принудительными работами до двух недель“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. декабря 31.
Тифлис— Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 8 от 10 января 1925 г.

## 46 დადგენილება № 130

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სასჯელის ვადის ერთი მესამედით შემოკლების შესახებ იმ პატიმართათვის, რომელნიც სასჯელს იხდიან მძიმე ფიზიკური მუშაობით.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლის შენიშვნა შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„იმ პირს, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს ფიზი-

## 46. Постановление № 130

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О сокращении на одну треть срока наказания лицам, отбывающим наказание в виде тяжелых физических работ.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Примечание к 35 ст. Уголовного Кодекса изменить следующим образом:

„Лицам, отбывающим наказание в виде лишения свободы и исполняющим в порядке отбытия наказания тяжелые физические работы, как-то: переноска тяжестей, рубка леса, зе-

კური მუშაობით იხდის, როგორიც არის: მძიმე ტვირთის ზიდვა, ხე-ტყის მოჭრა, მიწის მუშაობა, ღამე მუშაობა და სხვ. ადგილობრივი გამასწორებელ სახლის კოლეგიის წარდგენისამებრ მოხდილი მუშაობის ყოველი ორი დღე, ცენტრალური განმანაწილებელი კომისიის დადგენილებით, შეიძლება სამ დღეთ ჩაეთვალოს“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი—სასახლე.

мляные работы, ночные работы и т. п., по представлению Коллегии местного Исправдома, постановлением Центральной Распределительной Комиссии каждые два дня проведенного на такой работе времени могут быть зачтены за три“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая*.

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия*.

1924 г. декабря 31.
Тифлис—Дворец.

## 47. დადგენილება № 40

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 8-ს თარიღისა და მე-17 №-რის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების მე-2 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია შესდგება: 1. სასოფლო-სამეურნეო, 2. სავაჭრო-სამრეწველო, 3. სტატისტიკურ-ეკონომიური, 4. საელექტროფიკაციო და 5. საერთო სექციებისაგან. სექციების წევრთა შედგენილობა განისაზღვრება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.“

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **ა. გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. დეკემბერის 1.
ტფილისი—სასახლე.

## 47. Постановление № 40

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об изменении ст. 2-й Положения о Государственной Плановой Комиссии Грузии.**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

Ст. 2-ю Положения о Государственной Плановой Комиссии Грузии, утвержденного Советом Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии от 8 мая 1924 г. за № 17, изменить в следующем виде:

„Государственная Плановая Комиссия Грузии состоит из секций: 1. Сельско хозяйственной, 2. Торгово-Промышленной, 3. Статистико-экономической, 4. Электрофикационной и 5. Общей. Состав членов секций определяется особым постановлением Совета Народных Комиссаров Грузии“.

Зам. Пред. Сов. Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *А. Гегечкори*.

Управляющий Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе*.

1924 г. декабря 1.
Тифлис—Дворец.

## 48. დადგენილება № 41

### საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

**საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ ქალაქად მდებარე სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და 16-№ გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა უფლება და ფუნქცია, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. დეკემბრის 2-ს დეკრეტით მინიჭებული აქვს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოფილ სახალხო ბანკს, გადაეცეს ტფილისის კომუნალურ ბანკს.

2. ძირითადი ვალის მეათედი ნაწილი, რაც 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღისა და მე-16 №-რის დეკრეტის მე-3 მუხ. თანახმად გადახდილ უნდა იქნეს და რაც ყველა სანახევარწლო გადასახადებითურთ 1924 წ. დეკემბრის 1-თვის ირიცხება ყოფილ ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ სახლებზე, გადიდებულ იქნეს სამოცდახუთი (65) პროცენტით.

3. 1922 წლის დეკემბრის 28-ს თარიღისა და 16 №-რის დეკრეტის მე-10 მუხლს დაერთოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

უკეთუ საჭირო იქნება, ტფილისის კომუნალურ ბანკს უფლება აქვს საჯარო ვაჭრობა დანიშნოს ხოლმე სხვა ვადაზედაც თავისი შეხედულებისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. საქმ. მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1924 წ. დეკემბერის. 18
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-290 №-ში 1924 წ. დეკემბრის 19.

## 48. Постановление № 41

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

Сб изменении и дополнении декрета Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии от 28 декабря 1922 г. за № 16—о городских домах, заложенных в Земельных Банках Грузии и Тифлисском Городском Кредитном Обществе.

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Все права и функции, предоставленные по декрету Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии от 28 декабря 1922 г. за № 16 бывшему Народному Банку Соц. Сов. Респ. Грузии, передать Тифлисскому Городскому Банку.

2. Причитающуюся к погашению, согласно 3 п. декрета от 28 декабря 1922 г. за № 16, десятую часть основного долга со всеми полугодовыми взносами, числящуюся к 1-му декабря 1922 г. на заложенных в бывших Тифлисском и Кутаисском Земельных Банках и Тифлисском Городском Кредитном Обществе домах, увеличить на шестьдесят пять (65) процентов.

3. Ст. 10-ю декрета от 28 декабря 1922 г. за № 16 дополнить примечанием 3-м следующего содержания: „В случае необходимости Тифлисскому Городскому Банку предоставляется право назначить публичные торги и в другие сроки по своему усмотрению".

Председатель Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управл. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. декабря 18.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 290 от 19 декабря 1924 г.

21-02-01.

## [illegible]. დადგენილება № 42

### [illegible]ქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

### კოოპერაციის შესახებ.

რათა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა კოოპერატიულად უკეთ დაირაზმოს საწარმოებლო და სამომხმარებლო პრინციპის მიხედვით, გამტკიცებულ იქნეს სხვადასხვა სახის კოოპერაცია და თავის წევრებს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს, რათა ამ კოოპერაციათა მოქმედებაში თავიდან აცილებულ იქნეს პარალელიზმი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოშორდეს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს (ცეკავშირს) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პარალელურად მშენებლობის საქმე და ამის უფლება გადაეცეს მარტოოდენ წარმოკავშირს, როგორც სამეურნეო და იდეურად ჩამოყალიბებულ ცენტრს მთლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისას. ამის თანახმად უახლოეს დროისათვის მომზადდეს ნიადაგი ცეკავშირის სისტემაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა წარმოკავშირში ნებაყოფლობითი გადასვლისათვის.

2. წარმოკავშირის საორგანიზაციო მოქმედება მიმართულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოწყობისათვის (ამხანაგობა, არტელი და კომუნა) სპეციალური ნიშნების მიხედვით მევენეობისა, მეხილეობისა და მებოსტნეობისა, წვრილ და მსხვილ მესაქონლეობისა (მეცხვარეობა, მეღორეობა, ფრინველთა მოშენება, მერძეობა და სხვ.), მებამბეობისა, მეთამბაქოებისა, მეფუტკრეობისა, ჩაის კულტურისა და სხვ. სპეციალურ კულტურათა დარგში.

3. იმ რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობა შერეული ხასიათისაა, მოეწყობა შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ამ რაიონის სოფლის მეურნეობის სვადასხვაგვარ საჭიროებას.

4. სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ფუნქციად ჩაითვალოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის მოხმარების საგნების მიწოდება. ვიდრე სოფლის მეურნეობა განმტკიცდებოდეს და გლეხობის მყიდველობითი უნარი გად-

## 49. Постановление № 42

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии

### О кооперации.

Для наилучшего кооперирования городского и сельского населения по производственному и потребительскому принципу, укрепления отдельных видов кооперации и максимального обслуживания ими своих членов, а также устранения параллельной работы различных видов кооперации, Совет Народных Комис. Социалистической Советской Республики Грузии постановляет:

1. Устранить параллельное строительство сельско-хозяйственных кооперативов центром потребительской кооперации (Цекавшири) и предоставить это право исключительно Цармокавшири, как хозяйственному и идейно организованному центру всей сельско-хозяйственной кооперации Грузии. В согласии с этим в ближайшее время подготовить переход существующих в системе Цекавшири сельско-хозяйственных кооперативов в Цармокавшири на началах добровольности.

2. Организационная деятельность Цармокавшири направляется на организацию сельско-хоз. кооперативов (товариществ, артелей и коммун) по специальным признакам в области виноделия, плодоводства и огородничества, мелких и крупных отраслей животноводства (овцеводство, свиноводство, птицеводство, молочное хозяйство и т. д.), хлопководства, табаководства, пчеловодства, чаевой культуры и др. специальных культур.

3. В районах, где сельское хозяйство носит смешанный характер, организуются смешанные сельско-хоз. товарищества, обслуживающие нужды различных отраслей сельского хозяйства данного района.

4. Основной функцией потребительской кооперации считать снабжение товарами потребительского характера как городского, так и сельского населения. Впредь до укрепления сельского хозяйства и усиления покупа-

ლიერდებოდეს, ერთიანი მომხმარებელთა საზოგადოება ცნობილ იქნეს შერეული ფუნქციების კოოპერატივად, რომელიც ეწევა როგორც სამომხმარებლო ხასიათის ოპერაციებს, ისე სასოფლო-სამეურნეო ხასიათისას, სახელდობრ, მიაწოდებს მოსახლეობას ყოველგვარ საქონელს და საგანს, როგორც პირადი საჭიროებისა, ისე სამეურნეო ხასიათისას, დაამზადებს, გაასაღებს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტს, აგრეთვე მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას საკუთარ საწარმოთა პრინციპზე.

**შენიშვნა.** ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის ფართო მასიური მოხმარების საგანთა მიწოდება შედის მარტოოდენ სამომხმარებლო კოოპერაციის ფუნქციებში.

5. წარმოკავშირის სისტემის სამეურნეო მოქმედების ობიექტი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგი შეუზღუდავად და მის ფუნქციებს შეადგენს:

1. მიაწოდოს მიწის მუშათ როგორც კოოპერატივის წევრთ, ისე არა-წევრთ წარმოების იარაღი, მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, მისი სასუქი, თესლეულობა და ყველა საგანი და მასალა, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის; 2, დაამზადოს და გაასაღოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეუზღუდველად, უმთავრესად კოოპერატიული გასაღების პრინციპზე, კერძო შუამავლის ჩაურევლად, რა ფორმაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი; 3, გადაამუშაოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები და მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც საკუთარ საწარმოთა პრინციპზე, ისე კოოპერატიული საწარმოს პრინციპზე; 4, განახორციელოს სააგრიკულტურო ღონისძიებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა აღდგენისა და რაციონალიზაციისათვის.

6. რათა სოფლის მეურნეობას მატერიალურად ხელი შეეწყოს კრედიტის სახით, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხის მიცემით, და რათა გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი თავისუფალი საშუალებანი, იქვე ადგილობრივ მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი, რომელნიც შედიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის ცენტრში და მოქმედებენ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით.

тельской способности крестья
населения, признать ЕПО ко
тивами со смешанными функция
занимающимися операциями как по-
требительского, так и сельско-хоз. характера, а именно снабжением населения всеми товарами и предметами как личного, так и хозяйственного характера, заготовкой, сбытом и переработкой всех продуктов сельского хозяйства, а также и организацией сельско-хоз. производства на принципах собственных предприятий.

*Примечание*. Снабжение городского и сельского населения предметами широкого массового потребления входит в функции исключительно потребительской кооперации.

5. Об'ектом хозяйственной деятельности системы Цармокавшири являются без ограничения все отрасли сельского хозяйства Грузии и в функции его входят: 1. Снабжение как кооперативного, так и не кооперативного земледельческого населения орудиями производства, средствами борьбы с вредителями, удобрением, семенами и всеми предметами и материалами, нужными для ведения сельского хозяйства; 2. заготовка и сбыт продуктов сельского хозяйства без ограничения, главным образом на принципах кооперативного сбыта и без частного посредничества, в какой бы форме оно не выражалось; 3. переработка продуктов сельского хозяйства и организация сельско-хоз. производства как на принципах собственных предприятий, так и кооперативных; 4. проведение агрикультурных мероприятий по восстановлению и рационализации отдельных отраслей сельского хозяйства Грузии.

6. Для материальной поддержки сельского хозяйства в форме кредита, долгосрочной и краткосрочной ссуд, а также привлечения местных свободных средств, на местах организуются самостоятельные сельско-хозяйственные кредитные товарищества, входящие в центр организации сельско-хоз. кредита в Грузии и действующие под руководством последнего.

...ლო საბანკო და საკრედიტო გან-
...ილება, რომელიც კი ცეკავშირსა
...ა წარმოკავშირთან არსებობს, გადავა,
—აპარატის დაუშლელად, რამდენადაც ეს შესაძლებელია,—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ცენტრის განკარგულებაში, ხოლო წარმოკავშირსა და ცეკავშირს დაებრუნება ის საკუთარი სახსარი, რაც მათ გაუციათ ზემოხსენებული საკრედიტო და საბანკო განყოფილებათა მეშვეობით—სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის აღმოსაჩენად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. საქმ. მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1924 წ. დეკემბერის 22.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-293 №-ში 1924 წ. დეკემბრის 23.

Все существующие банковские и кредитные отделы при Цекавшири и Цармокавшири, без разрушения, по возможности, существующего аппарата, переходят в ведение центра сельско-хоз. кредита в Грузии с возвращением Цармокавшири и Цекавшири собственных средств, вложенных ими на кредитование сельского хозяйства через указанные выше кредитные и банковские отделы.

Председатель Сов Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управ. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. декабря 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 293 от 23 декабря 1924 г.

---

## 50. დადგენილება № 43

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი**

**საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ საანგარიშო მასალის გამოქვეყნების წესის შესახებ.**

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ“ 1923 წ. ივნისის 21 თარიღითა და 57 №-ით (ა-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ., № 9, მუხ. 129) და „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შეცვლის შესახებ“ 1924 წ. ნოემბრის 18 თარიღითა და 61 №-ით (გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1924 წ. ნოემბრის 20, № 732) გამოცემული დადგენილებების თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე რესპუბლიკანური მასშტაბით მომქმედ ყველა საჯარო ანგარიშგებისათვის ვალდებულ სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო დაწესებულებათ და საწარმოთ ყველა სა-

## 50. Постановление № 43

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**О порядке распубликования отчетного материала учреждениями и предприятиями, обязанными публичной отчетностью.**

На основании постановлений Совета Народных Комиссаров З. С. Ф. С. Р. от 21 июня 1923 г. за № 57 „о порядке публичной отчетности и обязательных публикаций“ (Собр. Узаконений и Распоряжений Правительства ЗСФСР за 1923 г. № 9, ст. 129) и от 18 ноября 1924 г. за № 61 „об изменении порядка публичной отчетности и обязательных публикаций“ (газ. „Заря Востока“ от 20 ноября 1924 г., № 732), Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Обязать все действующие на территории С. С. Р. Грузии в республиканском масштабе государственные, кооперативные и частные учреждения и предприятия, обязанные публичной отчетностью, весь отчетный материал, поименованный в ст. ст 3—9 пост. СНК ЗСФСР от

ანგარიშო მასალა, რომელიც აღნიშნული არის ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ივნისის 21 თარიღითა და 57 №-ით გამოცემული დადგენილების მე-3, 4, 5, 6, 7, 8 და მე-9 მუხლში, გამოაქვეყნონ ხოლმე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში—გაზ. „კომუნისტ“-ში.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ.
**ა. გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. დეკემბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

21 июня 1923 г. за № 57, расп[ублико]вать в официальном органе Все[гру]зинского Центрального Исполнительного Комитета Советов—газете „Коммунист“.

2. Настоящее постановление вступает в силу со дня его опубликования.

Зам. Пред. Сов. Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *А. Гегечкори*

Управляющий Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Республики Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. декабря 27.
Тифлис—Дворец.

Главлит № 1038 Заказ № 2039. увин.
3-я типография Полиграфтреста ВСНХ Гр